ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 216

"14" აგვისტო 2020 წ.

ქ. თბილისი

,,ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.14.003.201) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/ნ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აგვისტოს №246 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 127[2] მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.14.14.003.201) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/ნ 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ივლისის №19.777.1009 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 აგვისტოს №20.850.1070 განკარგულების შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.14.003.201) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/ნ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აგვისტოს №246 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.14.14.003.201) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/კ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №01.14.14.003.201) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/ნ 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ივლისის №19.777.1009 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 4 აგვისტოს №20.850.1070 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.14.14.003.201) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/ნ 404885335) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

გ) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 160 (ორი ათას ას სამოცი) ლარის ოდენობით."

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**